ბრძანება:**ბ135. 135231581**
თარიღი:**07/06/2023**

ბექა ხერგიანის დაკავებული თანამდებობიდან

განთავისუფლების შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბექა ხერგიანს შორის დადებული შრომის ხელშეკრულებით, დასაქმებული ვალდებული იყო უზრუნველეყო საკრებულოს აპარატისათვის კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების გამართულობა. დასაქმებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა დასაქმების ადგილას გამოუცხადებლობას, რამაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მიიღო სისტემატური ხასიათი, მიუხედავად არაერთი მოწოდებისა სამუშაო ადგილზე გამოცხადებასთან დაკავშირებით, ბექა ხერგიანის მხრიდან ადგილი ჰქონდა სრულ იგნორირებას, ამიტომ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან 2023 წლის 22 მაისის N135-135231421 აქტით, (რომელიც ოჯახის სრულწლოვან წევრს ჩაბარდა 30 მაისს) გაფრთხილებული იქნა, შესაძლო გათავისუფლების შესახებ და განესაზღვრა გონივრული დრო, საპატიო მიზეზის არსებობის დაფიქსირებისათვის, მაგრამ აღნიშნული შესაძლებლობა, მის მიერ არ იქნა გამოყენებული.

დამსაქმებელმა, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა შეაფასა, როგორც მძიმე გადაცდომა, რადგან ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე, ვალდებულებად აღებული ფუნქციის შეუსრულებლობა ზიანს აყენებს და ხელს უშლის არა მხოლოდ მისი ან რომელიმე კონკრეტული დასაქმებულის საქმიანობას, არამედ აფერხებს მთლიანად მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ფუნქციონირებას, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელე, რა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის ,,გ“ პუნქტის ამავე კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის ,, კ “ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონის, შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ო“ პუნქტის, ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გათავისუფლდეს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი, ბექა ხერგიანი (პ/ნ 01017011108) დაკავებული პოზიციიდან.

2. აუნაზღაურდეს თანამდებობრივი სარგო ორი თვის ოდენობით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი